ეროვნული
ბიბლიოთეკა

ააბათი, 4 მარტი. 1896—1897 სა

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა.

ეთის ფ
ერთის წლით 6 მან., ნახევარის
თითო ნომერი 3 კაპეკ-
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კ
მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Реда
„Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

რედაქციისაგან

ახალი ხელის-მომწერთა საყურადღებოდ

1-ლ მარტიდან წლის ბოლომდე გაზ. „ცნობის ფურცელი“ ახალ ხელის-მომწერთათვის ღირს **5 მან.** და მასთან „საქართველოს კალენდარიც“ მუქთად გაეგზავნებათ.

იანვრის ნომრები 73-იდან 87-მდე რედაქციაში აღარ მოიპოვება.

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში
ივანე როსტომაშვილის
ალბომი
„ქართველთა ცხოვრება“
მრავალის სურათებით
ფასი გაგზავნით და მშვენიერის ყდით 5 მან.
ვინც ნაღდად ათს ცალს იყიდის, ალბომი 4 მან. დაეთმობა.
ადრესი: ტფილისი, ივანე როსტომაშვილს. *Тифлисъ, И. Ростомашвили.*

სათავად-აზნაურო მამულში (ქარვასლაში)
ქირით მიეცემა
მშვენიერი, სუფთა, სინათლიანი და ყოველ მხრივ მოხერხებული სადგომები
სავაჭრო მაღაზიებისა და სააღებ-მიცემო კონტორებისათვის
(თითო, ორ-ორი და სამ-სამი ოთახები)
Въ имѣніи Грузинскаго Дворянства
Отдаются въ наймы
Свѣтлыя, чистыя и весьма удобныя помѣщенія
подъ конторы, магазины и склады.
Справляться ежедневно въ конторѣ по управленію имѣніемъ Дворянства
Дворцовая. (30—5)

თეიმურაზ ჩაჩავას
ხანა
ლქში
ყის მასალებისას. ქარხანაში გამართულობა ამ საქმისათვის.
რომელიც ამზადებს
ეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და ფერისა.
იაფად ◆
ობი ქარხნისა ქ. ბათომში.
ით: ოზურგეთში თეიმურაზ ჩაჩავას,
. Димитрію Мачутадзе, въ Оче-
(300—38)

ითა სენით ავადმყოფებს,
ობით, პარასკეობით და
$1^{1}/_{2}$—2 საათ. ორ-
ხუ-

სადამოობით:
ი. ფ. ბრიცასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.
ა. მ. შუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.
ბ. ს. ნავასარდიანი. 6 $^{1}/_{2}$—7$^{1}/_{2}$ საათამდე.
სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფები [illegible] საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.
შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. .ბ თოფურია.**
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. ქ. გერრატი.**
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**
თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაკტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
ამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია. (წ.)

სურათები
აბრეშუმზე და ატლასზე
ვამზადებ აბრეშუმზე და ატლასზე ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა სურათებს ფოტოგრაფიულად იაფფასად.
თამარ-მეფის სურათი ატლასზე ბალიშისთვის 2 მ.
ლამპარის აბაჟური 6 ცნობილ მწერალთა სურათით 3 მ.
აბრეშუმის ცხვირსახოცები იმავე სურათებით 60—80 კ.
წიგნებში ჩასადები ლენტი 25—30 კ.
რს შემიკვეთავს, იმას ია-
მიძლიან აგრეთვე
ქეთო მათი საკუ-
საპიორის ქუჩა
მიმართონ
ს სემი-
ვისა.
3).

ექიმი
ყ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფს იღებს ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 მდე.
მიხეილის ქუჩა, № 16.

ვექილი
გ. ბ. გვაზავა
ვასრულებ სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეების წარმოებას.
(გოლოვინის პროსპექტი, მუხრან-ბატონის სახლი, № 6).
დილით 9—10, საღამოს 5—7 საათ.
ფოსტის ადრესი: *Тифлисъ, Головинскій, д. Мухранскаго, Г. Б. Гвазава.* (30—29)

მოთხრობა
„თავადის ქალის“
გამომცემლისაგან:
უმორჩილესად ვსთხოვ ტფილისს გარედ ქართულ წიგნების გამსყიდველთ: ვისაც ზემო აღნიშნულ წიგნის [illegible] არ შეუტყობინებია ჩემთვის, რაც შეიძლება, მალე გამომიგზავნოს იგი ანგარიში. (4—3).

ქ. ბათომში
ძმ. ჭეიშვილების მაღაზიაში
მუდმივ იყიდება საუკეთესო ფირმის
აბრეშუმის თესლი (გრენა)
Магазинъ бр. Чейшвили
Батумъ
Продажа грены лучшей фирмы (4—3)

დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.
(„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“)

2 მარტი.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული 28 თებერვალს ბრძანდებოდა პეტრე-პავლეს ტაძარში და ილოცა იქ, სადაც მის განსვენებულის მეუღლის იმპერატორის ალექსანდრე მესამის ტაგრუცი იმყოფება.

1 მარტს, ხელმწიფე იმპერატორმა და იმპერატრიცებმა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა და მარიამ თეოდორეს ასულმა წმინდა საიდუმლო მიიღეს.

1 მარტს, პეტრე-პავლეს ტაძარში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე მეორის სულის მოსახსენებლად. დაესწრნენ: ხელმწიფე იმპერატორი, იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, დიდნი მთავარნი და დიდნი მთავრინანი.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრძანა: აღკრძალულ იქმნას გაზეთ
ის პირველ გამოცემის ცალკ
რების გაყიდვა.

პარიჟი. აქაურ ოფიცია
წრეებში ერთხმად აქებენ ქარ
პოლიტიკას რუსეთის მთავრ
რომელიც სცდილობს ისე გად
ტოს კრიტის საქმე, რომ ა
ბერძნეთი დარჩეს ნაწყენი
ბრძოლა იქმნას გამოწვეულ
დიდ სახელმწიფოთა შორის
თანხმობა სუფევდეს.

ლვოვი. მართლ-მადიდ
ორი მღვდელი დაპატიმრებუ
ნენ იმის გამო, რომ მცხოვრ
აქეზებდნენ საარჩევანო აგიტ
თვის. 16 კაცი, რომლებიც
ლეობას იღებდნენ დავიდოვ
ხდარ უწესოებაში, აქაურ
გამოგზავნეს. გლეხები და
ამათ ქვებს ესროდნენ. გ
ხალხის ბრბო დაშალეს. ერ
დაიჭრა.

ლონდონი. მთავრობამ
ბინა პალატას, საბერძნეთის
რობამ შემდეგი წერილი გამ
ნაო ინგლისის გარეშე საქ
მინისტროს: „პასუხად იმ
ლობისა, რომელიც გამო
დიდმა სახელმწიფოებმა საბე
მთავრობას, მოვალეობად
შეგვატყობინოთ, რომ ს
თის მთავრობა სთხოვს
ხელმწიფოებს, დაავალონ სა
თის ჯარს მოქმედება
ძულზედ და, თუ ამაზე
დნენ დიდნი სახელმწიფ
ძნეთის მთავრობა დიდ
ბით იკისრებს ამ კუნძულ
ჯარისა და შეერთებულ
რაზმების ერთად მოქმედებ
ამისა, თუ დიდნი სახე
დასთანხმდებიან, რომ კრ
ადგილობრივ მცხოვრებთ
ლოდ გადასწყდეს, ჩვენ
გნი არა ვართ, რომ ვიდ
გადასწყდებოდეს, კრიტ
მფარველობის ქვეშ იყ

ლონდონი. აქ დაბე
ბობენ, რომ დიდს სახ
გარდაწყვეტილი აქვთ,
გასცენ საბერძნეთს მის
ზავნილ ოფიცერზედ და
ლივ შეუდგნენ ძალდატანე
ნისძიებას. უპირველეს
კრიტს ალყას შემოარტყამენ

ლონდონი. გაზეთს, „
დეპეშით სწერენ ათინიდგან:
დრო მინისტრმა „ტიმეს“-ის
კორესპონდენტთან ლაპარა
სთქვა, სასტიკად აღკრძალულ
რომ საზღვრებზედ მყოფი ს
თის ჯარი ერიდოს ისეთს
ბას, რომელიც მტერს საბრძ
ლად გამოიწვევსო.

სტამბოლიდან დეპეშით იუწ
ან, ოსმალეთსა და ელჩებს ა
მისვლით, რომ ევერლში, ცეზარ
ის ახლოს სისხლის ღვრა მომხდარ
დაწვრილებითი ცნობები ჯერ
მისვლიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადან სა
ებელი, რო-
ჯარის 43 მათა-
რე მატარებელს და-
ჯარის კაცი და ერთი
ი მოკლულ იქმნენ. სუ-
ლია 25 ჯარის-კაცი.
ათადარიგო ჯარის 250
ზე წავიდნენ. ვინც-კი
წლებში ფულის გარდა-
ფლებული იყო სამხე-
ან, ყველანი ჯარში

ი მთავრობის განკარგულებანი.

აცია რაჭის მაზრის უფ-
ბათ სენაკის მაზრის მმა-
ალუგოვნაკი ქავთარაძე—
იქმნა სენაკის მაზრის
ლეჩხუმის მაზრის უფ-
თ ოზურგეთის მაზრის
ტსკი სოკეტნიკი ალ-
ეცებულ იქმნა ოზურგე-
უფროსად.

—

საეპარქიო სასასწავლებლო
საბჭოს მიერ.

საეპარქიო სასასწავ-
თანახმად თვისი ჟურ-
ალებისა 8 იანვრიდამ
მტკიცებისა მის მაღალ-
მღვდელოსობის საქარ-
ეგზარხოსის მიერ, ამით
ბის: ა) გამგეს ბოდ-
სამრევლო სკოლისას
ლო სჯულის მასწავ-
ბ. დეკანოზს აბრამ ბა-
ბ) მასწავლებელს და
, იმავე სკოლისას
მეიდს და სოფიო მა-
ასკოლო საქმის წარ-
ასა და სკოლისადმი
გრძნობისთვის და დ)
საეკლესიო-სამრევლო
, მღვდელს იროდიონ
ავე სკოლაში საღმრთო
ებათის სწავლებისათ-

საეპარქიო სასასწავლებლო
დადგენილებისა, საბ-
ს სამაზრო განყოფი-
ომარის თანამდებობაზე
-ეკლესიო-სამღვდელო-
ოის ეგზარხოსის მიერ
წლისა დანიშნულ
მაზრო მეთვალყურე
ვლო სკოლებისა,
მარიანაშვილი (ბლაღ-
ს. ბეგიევის მაგივ-

ი ამბავი

მუშეთა ამხანაგობას ქუ-
ანჯაფარიძეს ქუთაისში
ოლეც დიდის ხნის მეცა-
ემდეგ „მეაბრეშუმეთა სა-
". წევრებათ ჩაწერის სუ-
განცხადებია და, გან-
თ, ადვილობრივ ვაჭრებს.
" გამოუწერია და მიუ-
ცეს საბლოვარ გარეთელ მეაბ-
აგან 1000 კოლოფამდე აბ-
თესლი კარგის ხარისხისა.
ების დარიგება დაუწყია კი-
ანჯაფარიძეს მსურველთა-
ით ორი ოსტატი
თან და თან,

მედია, წინ წავა და წევრებიც მომატება, მით უმეტეს, რომ „ამხანაგობას" ბევრი საყურადღებო და სასარგებლო საგანი აქვს, მაგალითად: აბრეშუმის გარდა, ამხანაგობა აწარმოებს შალსა, ბამბასა, კანაფსა და სხვ. ამასთანავე ამხანაგობა საკომისსიონერო კანტორებსა ჰმართავს, რომელთაც შუამდგომლობა უნდა გასწიონ მწარმოებელთა და მყიდველთ შორის. გარდა ამისა, იგივე ამხანაგობა მატერიალურს დახმარებას, ე. ი. სესხს, მისცემს ხოლმე აბრეშუმის მწარმოებელთ.

„ამხანაგობის" აბრეშუმის ამოსახვევ და საქსოვ სახელოსნოში ამ ჟამად ოცამდე შეგირდი სწავლობს ხელობას და, რა თქმა უნდა, ამათი რიცხვიც მალე ერთი-ათად იმატებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით, სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, შეგირდების მიღება შეჩერებულია.

⁂ **ახალი ნავთ-სადგური.** „აზოვის ზღვაოსნობისათვის", როგორც ამბობენ, ქ. სოხუმშიაც გაიმართება ნავთ-სადგური.

⁂ **კახეთის რკინის გზის შესახებ.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობას მთავრობამ ნება დართო 33,000 მანათი დახარჯოს კახეთის რკინის გზის ტოტის გამოსაკვლევად.

⁂ **ბორჯომის რკინის გზის თაობაზე.** ბორჯომსა და ბაკურიანს შუა რკინის გზის ტოტის გამოსაკვლევად ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობას მთავრობისაგან ნება- [illegible] დახარჯოს 9,000 მან.

⁂ **„ჯეჯილი" საყმაწვილო ჟურნალი.** ჩვენ მივიღეთ № II თებერვლის წიგნი ჟურნალ „ჯეჯილისა". შემდეგის შინაარსით: I „ვარდის ბუჩქი" ლექსი—დ. თომაშვილისა; II. „წისქვილი", მოთხრობა—ვანოსი; III. „ბედნიერების მძებნელი", მოთხრობა გადმოკეთებული (რუსულიდან) განდეგილისა; IV. „ზამთარი და ნიბლია" ლექსი შიო მღვიმელისა; V. „პატარა ლორდის თავ გადასავალი „მოთხრობა (რუსულიდან)—ე—კოსი; VI „საკვირველებანი ბუნებისა.—ღამის მშვენიერება—იალაპპა"—ლადო აღნიაშვილისა; VII ჯემს გარფილდის ცხოვრება". (შემდეგი)—ბატუასი; VIII „მყვარი, გველი და ზღარბი" არაკი ქილილა და დამანიდამ; IX „აკროსტიხი" და X „შარადა".

⁂ **ბათომი. ახალი ბანკი.** 11 თებერვალს აქ გაიხსნა განყოფილება კიევის სამრეწველო ბანკისა; ეს ბანკი ასრულებს ყველა იმ ოპერაციებს, რასაც აქაური სხვა ბანკები ასრულებენ და რამდენსამე სხვასაც; გარდა იმისა, ბანკი არის საშუალო ადგილზედ, საუკეთესო შენობაში მოთავსებული, კარგად მოწყობილი და სხვაც ბევრი კარგი წეს-რიგია შემოღებული. მმართველი ამა ბანკისა თუმცა ამ ქვეყნისათვის ახალი კაცია, მაგრამ მისს შორს გამჭრიახობას ისიც არ დაუტოვებია შეუმჩნევლად, რომ, რადგან ამ ბანკის განყოფილება საქართველოში გაიხსნა, უსათუოდ ამ ბანკის მოსამსახურენი რამდენიმე ქართველი უნდა იყოსო და ბანკის [illegible]ებზე წარწერა, როგორც რუსულ ენაზე, ქართულადაც უნდა დაიწეროსო, რომელიც კიდეც შეუსრულებია. ერთს მხარეს ამ ბანკის კედლებზედ რუსული ასოებით არის დაწერილი: Кіевскій промышленный банкъ" და მეორე მხარეს ქართულად „კიევის სამრეწველო ბანკი". სხვისი-კი რა მოგახსენოთ, მაგრამ მე-კი ამგვარი მოქმედება კიევის ბანკის მმართველისა ძლიერ სასიამოვნოდ მიმაჩნია. აქ, გარდა სხვა კერძო ბანკებისა, არის ქართველებიდგანაც დაარსებული «საურთიერთო დამხმარებელი ბანკი», მაგრამ ქართული წარწერა-კი არა, აქვს.

ა. მიქელაიშვილი.

⁂ **სურამი. ჩვენი დაბის უსუფთაობა.** როგორც ვკითხულობთ და გვესმის გაზეთებიდან, შავი ჭირის შესახებ ყველა მხარეს და ყველა ქალაქებში და დაბებში დიდი მომზადება აქვთ. ხოლო ჩვენი სურამის ბედზედ ყურსაც არავინ იბერტყავს. თუმცა არიან მოვალენი ამისთანა შემთხვევაში უსწავლელს ხალხს უცოდინარს უჩვენონ გზა, მაგრამ თავს არ ტკენულობენ; მაგალითად, არის ისეთი ადგილები, სახელდობრ. გალმა უბანი, სადაც სახლობენ ჯგუფად რამდენიმე მოსახლე ურიები და აგრეთვე სომხები; ამ ადგილებზე დიდი უსუფთაობა არის, ასე რომ კაცმა რომ ნახოს ამათი მდგომარეობა, შეეზიზღება. ვფიქრობთ, მოვალეა აქაური მმართველობა ყურადღება მიაქციოს ამ ადგილებს, დაუყოვნებლივ ლონისძიება მიიღოს უსუფთაობის მოსასპობლათ და აგრეთვე შეადგინოს სანიტარო კომისია, როგორც ხოლერობის დროს იყო; ესეც უნდა მოვიხსენიოთ, მაშინდელმა კომისიებმა ფული მოაგროვეს ხარჯისა, გადარჩათ რამდენიმე თუმანი და კარგი იქნება ინებებდნენ ის პირები და იმ ფულს გამოიღებდნენ ამ გაჭირების დღისთვინ და მოახმარებდნენ სოფლის დასუფთავებას.

ოჩხომურელი.

⁂ **დ. ლანჩხუთი. საერთო აღწერის თავგადები.** ყველამ უწყით, რომ ამ წელში საყოველთაო აღწერა იყო. რასაკვირველია, რამდენიმე აღმწერი ჩვენშიც იყვნენ, მაგრამ ამისთანა აღმწერი ჩვენ მტერს, რა ვაჟკაცობაც მათ ჩაიდინეს. არა, სუყველას რას ვერჩით. მხოლოდ ორმა კი თავის მხედველობით გაავრცელეს ხმა, ვითომ კომლთა აღწერა არისო და მომავალ წელში თითო კომლს ოცი მანათს დაადებენ გადასახადსო. ამნაირმა მითქმა-მოთქმამ გლეხებში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და უნდოდათ ორთ ერთად ჩაწერილიყვნენ, რომ ოცი მანათის მაგიერ ათი მანათი გადაეხადნათ. ოცი მანათის გადახდას, ერთჯერ გადახდა ამჯობინა და ასეთი ჩაწერისათვის, რა თქმა უნდა „კანონიერი ულ
წაგგლიჯა, საწყალ გლ
ზოგს ფული გამ
ჯი და
და შუშ
ნათქვამია:
არსო" და
ორს ამწე
ნობა დ
ჯერ არ
და ბი

ლა არის. საქმე გამოძიებაში და მალე ყველაფერს დაწვრილებით გავიგებთ.

⁂ **სოფ. ხოვლე.** (გორ. მაზრ.) **ბიბლიოთეკის ხვედრი.** ოცწელზედ მეტია, რაც აქ სამინისტრო სასწავლებელი არსებობს და, ჯერ-ჯერობით ვერაფერი ნაყოფიმოქვს.

მთელი სოფელი რომ დიაროთ, ოცს ვერ იპოვნით წერა-კითხვის მცოდნეთ, მიუხედავად სასწავლებლის ოცის წლის არსებობისა.

მიზეზი?.. ვისაც-კი ცოტათი მაინც შეგნებული და გათვალისწინებული აქვს სწავლა-განათლების საქმე, ის ადვილად ახსნის მიზეზსაც. არავითარი გონების სივარჯიშე არავითარი საყმაწვილო საკითხავი წიგნი არ მოიპოვება სასწავლებელში.

ამნაირი სამწუხარო მდგომარეობით შეწუხებულმა ხოვლის ინტელიგენციამ, ამ ექვსი-შვიდი წლის წინათ, დააარსა სასოფლო სამკითხველო-ბიბლიოთეკა, რომ როგორმე შეეჩვია კითხვას, როგორც პატარა შეგირდები, ისე კიდევ სხვა წერა-კითხვის მცოდნე გლეხები.

პირველში დიდის თანაგრძნობით და ენერგიით მოეკიდნენ ამ კეთილს და დიახ სასარგებლო საქმეს, მოთავეც ბევრი გამოჩნდა: ბიბლიოთეკარიც და ჯახირიც.

აი, გაჩაღდა წარმოდგენები აქა თუ იქ, საქველ-მოქმედო მიზნით, ფულის შეკრება, საღამოები მეჯლისები და...

შეიძინეს [illegible] წიგნები: რუსული, ქართული, მოზრდილებისათვის და საბავშვო. საქმე გაჩაღდა, [illegible] სასიამოვნოდ რაკი-რუკი...

გავიდა სამი-ოთხი წელიწადი და ამ კეთილმა საშვილი-შვილო საქმემ ჩაილულის წყალი დალია, მიიძინა საბრალომ მძლავრ [illegible] ძილით წიაღსა შინა აბრამისასა.

აღფრთოვანებულმა, სიცოცხლით სავსემ და ბევრის იმედის მომცემმა ინტელიგენციამ მალე შესცვალა ს
ზოგადო საქმე შინაურულს კერ
„შენ-ჩემობაზედ".

ღმერთმა უშველოთ ისევ
თარხნიშვილს, წინანდელ ხ
მასწავლებელს და კნეინა
დავითის ასულს ჯავახიშვ
კიდევ ამათით ედგა სული
ლებელს და სასოფლო ს
ლოს. დაანება თუ არა თ
ხნიშვილმა ხოვლის მასწავლ
საქმეც უკან-უკან წავიდა.
ზურგი შეაქცია, ყველამ
თვალით დაუწყო ცქერა.

შეგვრჩა მხოლოდ კნე
ჯავახიშვილისა, მაგრამ
ქალი, ისიც ოჯახისა დ
შვილის პატრონი, რას
სხვებიც მხარში არ ამ
საქმეს არ უპატრონ
მე,

ჩემს სამწუხარისაგან დაღმექ
წვეზზედ მაგრამ...

ბიბლიოთეკის შკაფი მე ჩამ
და დღესაც ჩემს სახლში ყუნტ
საცოდავი, ჩაგრულ-წამებული დახავსებულ-დაფუტუროებული. სი
ცხვილით ვერარც-კი შემიხედნია, მაგრამ სად უნდა გავექცე ამის მკაცრს და სამართლიან საყვედურს: „გრცხვენოდეთ, რომ ასე უწყალოდ გამქურდ-გამაჩანაგეთ! შემომხედე, ოცდა-ხუთი ცალი „მარინეს" მეტი და გუშინდელი სამი ნაყიდი წიგნისა, მე მთელი აღარა შემარჩინეთ-რა".

ეგერ თექვსმეტამდის ბავშვი შემოვიდა ჩემს ოთახში და მომჩერებია...

„— ქალაქიდგან ახალი წიგნები არა მოგიტანიათ-რა? მოგვეცით".

— მოვიტანე ცოტა. აჰა ვანო, „ოქროს თავთავი" წაიკითხე! «ძუნწი» შენა, შაქრო! შენ კიდევ აი ეს „შალვას ნანახი ხატი" წაიკითხე, მაშო! შიგვე „მოხუცის ნაამბობი"-ა, შენ ხომ გიყვარს ვაჟას ნაწერები.

— „მეტი აღარ არის? მე? მე?" შემომბღავლეს ერთ მხრივ დანარჩენებმა და....

იწამეთ ღმერთი, ვისაც გუ
შეგტკივათ ამ საქმისათვის, აჰამ
ვით რამე ამოღენა გონებით დამშეულ ხალხს; მოგვხედეთ, მოგვაწოდეთ რამე საყმაწვილო წიგნი იყოს თუ სხვა.

უკეთი ვინმე მოისურვებს ხოვლის სასოფლო ბიბლიოთეკას შემწეობა აღმოუჩინოს წიგნებით ან სხვა ფრივ, შეუძლიან ამ ადრესით მიმართოს:

Станція Гракали, въ сел. Ховле, княгинѣ Маріѣ Давидовнѣ Джаваховой.

თ. შაქრო ჯავახიშვილი.

⁂ **სამეგრელო. გაჭირვებული მდგომარეობა.** არა სანატრელ მდგომარეობაში ვართ. საშინელი სიღარიბე ჩამოვარდა. ცხოვრება მეტის-მეტად გამწვავებულია. ხალხის სიღარიბეს ხალხის ზნეობითი გარყვნ
მოჰყვა. სიღარიბისა გამო რას არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორმოც და-ათს ფუთს სიმინდში წრევანდელ ფასში ძალიან აილოს რვა—ცხრა მანათი. აბა ამ რვა—ცხრა მანათით რომელი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს, ცოლის შვილმა? აი უბედური მდგომარეობა დღევანდელი ჩვენის გლეხ-კაცისა! ნათლად წარმოსადგენია ამ სიღარიბეში მყოფ გლეხი კაცის მდგომარეობა... მას არა აქვს არავითარი იმედი მომავლისა და ასეთს გაჭირვებულ ცხოვრებას მოსდევს: კაცის მკვლელობა, ქურდობა, ძარცვა-გლეჯა, წართმევა, მოტაცება, უარის ყოფა და სხვა და სხვა... დაათვალიერეთ წლეულ სოფლის საგლეხო სასამართლოები და იქ ნახავთ ნამდვილ სურათს გლეხკაცობისას: სოფლის სასამართლოები სავსეა გლეხების სანოვაგით. ოთხფეხა პირუტყვები: ხარი, კამეჩი, ძროხა, ცხენი, თხა, ნოხი, ფარდაგი, ხალიჩა, ხმალი, ხანჯალი, ცული და სხვა. ყველა ეს ნივთები გასასყიდათ არის გამოფენილი, მაგრამ მყიდველი ვინ არის!! ახლა წარმოვიდგინოთ, რა მდგომარეობაში არიან სოფლის მოსამსახურე პირები, განსაკუთრებით მასწავლებელნი და მღვდლები: ამათ შარშანდელი ჩვეულრი ჯამაგირიც ვერ მიუღიათ საზოგადოებიდგან. რა ქნან ამ პირებმაც, ესენი სოფელს შეჰყურებენ, სოფელს კი არაფერი აქვს. ამას წინად ზოგიერთმა მასწავლებლებმა მიმართეს ადგილობრივს მთავრობას, რომ შემწეობა აღმოეჩინათ მათთვის. მთავრობამ მიმართა სოფლის მამასახლისებს, მამასახლისებმა გლეხებს მიმართეს სასტიკად, მაგრამ, რა გამოვიდა, „ყვავს არ ჰქონდა, ბუზს გაჰქონდა»; გლეხებმა იტირეს, იბღავლეს, «აჰა ჩვენი ცოლი, შვილი, ღორი, ქათამი, სიმინდი, წაიღეთ-წაიყვანეთო და მიუტანეთ „უჩიტელსო“, აი, ბატონებო, ამ გვარია დღევანდელი ჩვენი სამეგრელოის გლეხთა მდგომარეობა! ყველა ეს მიზეზი გახლავთ სიმინდის ფასის დაცემისა.

თ. ქ.

⁂ **მეჯვრისხევი.** უქიმობა. სოფელ მეჯვრის ხევს ერთი ექიმი არა ჰყავს. უმეტესი ნაწილი იმათი გაჭირვებული არიან, რომელსაც შეძლება არ აქვსთ, გორიდგან ექიმის ამოყვანისა და ხდებიან მსხვერპლნი უდროვოთ სიკვდილისა. კარგი და კეთილი საქმე იქნება, ვისიც ჯერ არის, მოაქციოს ყურადღება ჩვენს საბრალო ხალხს და ერთი საკუთარი ექიმი დაგვიყენონ და, იქნება, იხსნან უდროვოთ სიკვდილისგან ხალხი. ყოველ დღე ვკითხულობთ გაზეთებში, რომ თითქმის ყველა სოფლებში არის მზადება, თუ როგორ უნდა აიცილონ თავიდგან ჭირი და ჩვენ, არა თუ მომავალზედ დაგვარიგოს ვინმემ, რაც დღეს არის აქ სნეულება, იმასაც არავინ უგდებს ყურს. ჯერ საქონლის ჭირმა არ მოგვასვენა, შემდეგ გაჩნდა ყვავილი, ეხლა მეჯვრისხევში და ს. ზერტში, რომელიც ვერს ნახევარზედ არის მეჯვრისხევზე, მძვინვარებს ყოლათმა და ხოცავს საბრალო ბავშვებს.

⁂ **მადლობის გამოცხადება.** ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა ვუძღვნა შემდეგ პირთ, რომლებმაც კეთილ ინებეს და შემოსწირეს მეჯრუხევის უფასო სამკითხველოს: გ. დ. ერისთავმა თოთხმეტი ქართული წიგნი, ს. ლ. თულაშვილმა შვიდი მანათი და კ. გაბარაშვილმა გამოუწერა თავისი ხარჯით 1897 წლის „ჯეჯილი“ და ორი ქართული წიგნიც გამოგზავნა.

გამგე მეჯრუხევის წიგნთ-საცავისა კნინა ეკატერინე გიორგის ასული ერისთავისა.

სასამართლოს მატიანე.

ნაფიცი ვექილის ს. დ. სტაროსელსკის მოკვლის საქმე ბაქოში.

(შემდეგი *)

გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ სტაროსელსკის მოკვლა მის მტრებს დიდი ხნით ჰქონიათ გადაწყვეტილი. 1895 წლის ზაფხულში, ქერბალაი ჰუსეინს ურჩევია სეიდ ჰუსეინისათვის კაცის მოკვლა. მოსალაპარაკებლად ისინი წასულან ვიღაც ბაკიხანოვთან და იქ დახვედრიათ ზაფრათის მამასახლისი მანაფი და მეშადი ამანი. ეს ავაზაკთა ბრბო რამდენსამე ხანს ელოდნენ ალეკბერს და, რაკი აღარ მოვიდა, ბაკხანოვს უკითხნია სეიდ ჰუსეინისათვის: „400 მანათად კაცს არ მოჰკლავო“? სეიდ-ჰუსეინი დასთანხმებულა, მიუციათ მისთვის რევოლვერი, იდუმლად უჩვენებიათ მოსაკლავი კაცი, მაგრამ მეორე დღეს ჰუსეინს შეშინებია, კაცის მოკვლაზედ უარი უთქვამს და იარაღი მათთვის დაუბრუნებია. გამოძიების დროს მეტლეს (№ 176), ზაიცევს უთქვამს, ვერც ერთს იმ თათრებში ვერ ვიცნობო. ვიციო-კი, რომ ორნივე ახალგაზდანი არიან; ერთს შავი ტანისამოსი ეცვა და მეორეს ნაცრის ფერიო.

პოლიციამ აღმოაჩინა, რომ ვიღაც მეშადი მამედ-ბეგჰაჯი-რუსთამბეგ-ოღლი მკვლელობის დღეს ვიღასაც უცდიდა და ყველას ათვალიერებდა კლუბის კარებთან.

მეშად-მამედი და ფატტახი იმ საღამოს ათ საათზედ უნახავს სტაროსელსკის, სახლთან იქეთ-აქეთ მოსეირნენი, თითქო ვისმეს უცდიდნენ; იგივე პირნი წამ და უწუმ იმ ღამეს სტაროსელსკის სახლსა და კლუბის შენობას შუა დაირბოდნენ და თითქო აღელვებულნიც იყვნენ. ამ გარემოებათა გამო, იქვა აილეს ზემოხსენებულს პირებზედ და სამართალს მისცეს. გამოძიების დროს ყველა ბრალდებულთ უარი განაცხადეს დანაშაულზე და შემდეგი ჩვენება მისცეს გამომძიებელს, 1) მეშადი-მამედ-ბეგ—14 ნოემბერს, საღამოს 5 საათიდამ დაწყებული ვლოთობდი არტემიევის დუქანში და საროსკიპო სახლებში. ჩემს ბინაზედ მხოლოდ ნაშუაღამევის ორ საათზედ დავბრუნდი.

მეორე ჩვენება შესცვალა და ასე სთქვა: 14 ნოემბერს ჯერ ბაბის დუქანში ვქეიფობდი, ჩემთან ფატტახიც იყო, ამის მერმე სეროპას დუქანში წავედით. $10^1/_2$ საათზედ საღამოს საროსკიპო სახლშიდ წავედით ერთად და იქიდამ მალე დავბრუნდით და მე პირდაპირ სახლში წავედი. როდესაც სახლის კარებს მიუახლოვდი, წამომეწია ფატტახი და მითხრა,— ბაკიხანოვი გეძებსო. მივედი და ბაკიხანოვმა მთხოვა ქერბალაი ჰუსეინს წავყოლოდი კლუბში და შემეტყო „რუსი-ადვოკატი“ იქ არის თუ არა? შევასრულე და მე სახლში გამიშვეს. მოვშორდი თუ არა მათ, შევამჩნიე, რომ ბაკიხანოვს ორი კაცი დაშორდა და „ზემოთ“ წავიდნენ. ისინი ბექირი და ყულამა იყვნენ. სახლისაკენ რომ მივდიოდი, გზაზედ პოლიციელს აბდულლას შევხვდი; ჩემთან მოვიდა ჰიულ-კასუმიც, რომელმაც აბდულლას უთხრა, შემახის ქუჩაზედ წავიდეთ,—იქ ქალალდს თამაშობენ და დავიჭიროთ მოთამაშენიო. აბდულლამ უარი უთხრა. ამის მერმე, სახლში წავედი და მეორე დილას ფატტახი და ჰიულ-კასუმი მოვიდნენ და მთხოვეს არავის უთხრა, რაც რამ წინ ღამეს მოხდა.

2) ფატტახ-აკიმ-ოღლი. 14 ნოემბერს, მთელი ღამე ებრაელ ვეკინთან ერთად ვლოთობდი სხვა და სხვა დუქნებში და მასთანვე დავიძინე.

3) ჰიულ-კასუმი—მთელი ღამე 14 ნოემბერს კუბის სადარაჯოზედ ვიყავი, როგორც ერობის დარაჯთაგანი.

4) მამედ-რზა-ბეგ-ბაკიხანოვი—14 ნოემბერს ღამის 1 საათამდე საროსკიპო სახლში ვიყავი ალეკპერ მამედოვ და მეშად-ალესკერ-დადაშევთან ერთად.

მეორე ჩვენებაზედ დაუმატა: „მეშადიმ ცილი დამწამა მტერობითო.

5) ქერბალაი-ჰუსეინ-მეშადი—14 ნოემბერს მთელი ღამე სახლში ვიყავი და ამ საქმისა არა ვიცი რა.

6) იბრაგიმ-ალეკბერ — არავითარი მტერობა სტაროსელსკისთან არ მქონია, თუმცა ერთი საქმე კი გვქონდა სამოქალაქო, მაგრამ ჩვენ მოვრიგდით და სტაროსელსკის მივანდე მორიგების შემდეგ ჩემი ძმის აზიზის საქმე დასაცველად.

7) მანაფ-ქერბალაი-ჰაშიმ-ოღლი—უსაფუძლოდ მაბრალებენ კაცის კვლას, სტაროსელსკისთან მტერობა არა მქონია, რადგან მე მასთან მიწის თაობაზედ საქმე არ წამიგია.

როგორც ზემოდ მოხსენებულია, ამ საბრალდებულო ოქმის ძალით ზემოხსენებულნი პირნი მიეცნენ სამართალს.

(შემდეგი იქნება)

სამეურნეო ცნობა.

სამეურნეო იარაღთა საწყობი ქუთაისში. ქუთაისის სამეურნეო სკოლაში კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას, ბ-ნ ს. პ. ფეიქაროვის შემწეობით, გაუმართავს სამეურნეო იარაღთა საწყობი. სხვათა შორის, საწყობში არის სხვა-და-სხვა ნიადაგისათვის შესაფერი და გამოსადეგი გუთნები; თითო გუთნის ფასი 6 მან. 70 კაპ. იწყება... ამ დღეებში იქვე მოელიან სამოცდა ათამდე გუთანს, ოცდა ათს ჩალის საჭრელ მანქანას, რამოდენსამე ფარცხს და სხვა საჭირო იარაღს.

იარაღები მით არიან კარგნი, რომ იაფ ფასიანი, გამძლე და მსუბუქნი არიან. სამეურნეო იარაღების იმსუბუქე ჩვენს მხარეში მეტად სასიამოვნო [?] ...

ამ საფეხულში სამეურნეო საზოგადოებას აზრად აქვს მეურნეთა თანადასწრებით გამოსცადოს იარაღების ავ-კარგობა.

რა თქმა უნდა, ეს გარემოება მეტად სასიხარულოა და სასარგებლო მთელი ქუთაისის გუბერნიის მეურნეთათვის, რომელნიც მიწის მუშაობაში ძველებურსა და სრულებით მოუხერხებელს იარაღებს ხმარობენ. ამიტომაც სამეურნეო იარაღთა საწყობი დიდს სამსახურს გაუწევს ჩვენს მეურნეობას და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მემამულენიც დიდის ყურადღებით და სიხარულით მიეგებებიან ამ კეთილს საქმეს და თვით სამეურნეო საზოგადოებაც არ მოგვაკლებს ამ მხრივ თავისს ნაყოფიერ მოღვაწეობას.

თუ ისიც წარმოვიდგინეთ, რომ ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებით მეურნეობის მხარეა და მით-და აბრუნებს სულს და ამ უკანასკნელ ხანებში ეს ერთად ერთი სახსარიც ქართველობისა ძლიერ დავარდნილია, ეჭვი არ არის, ყოველი გლეხი თუ თავადაზნაური სიხარულით მიეგებება ქუთაისის გუბერნიაში სამეურნეო იარაღების საწყობის გამართვას და მადლობითაც მოიხსენიებს ამ საკეთილო საქმის დამწყებთ.

სამზარეულო ცნობანი.

ლობიოს მომზადება. დიდმარხვა არის და ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენის გაზეთის მკითხველებს მივაწოდოთ რამდენიმე დარიგება, თუ როგორ უნდა მომზადდეს სამარხვო საჭმელები. ვინც კარგად იცის მომზადება, ლობიო ერთი საუკეთესო სამარხვო საჭმელთაგანია, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც სხვა ყველაფერს „ჩვენებურს, ძველებურს“, ამასაც ხელი აალეს,—ან თუ აკეთებენ, გადაგვარებულ - გადაპახინჯებულად. ლობიო ბევრ-ნაირად მომზადდება, მაგრამ ყველაზე უფრო გემრიელია ეგრედ წოდებული „კლდიაშვილის ლობიო“. ჩვენ თითონ ამ ლობიოს პატრონ-ბატონის, პატივცემულ ნ. კლდიაშვილისაგან გვისწავლია მისი გაკეთება და ამიტომ თამამად შეგვიძლიან სრულის სისწორით გავაგებინოთ ყველას „კლდიაშვილის ლობიოს“ მომზადება.

კარგი ჯიშის წითელი ლობიო უნდა მოხარშოთ ისე, რომ მარცვლები არ ისრისებოდეს,—კირკაჟად. შემდეგ უნდა გადმოიღოთ ჭურჭლიდგან (საზოგადოთ, ლობიო უფრო გემრიელია, როცა თიხის ჭურჭელში—ქოთანში—იხარშება) და თავის წვნიანად დადგათ თბილად. პირველ ჭურჭელში-კი ჩაასხით ძალიან ცხოველი ღვინის ძმარი, თუ მეტის-მეტი ცხოველი ძმარია, წყალი გაურიეთ და შედგით ნელ ცეცხლზე. როცა გაცხელდეს, ჩაჰყარეთ შიგ ალყად დაჭრილი ხახვი ბლომად და მოხარშეთ, ისე-კი, რომ არ ჩაიშალოს.

ღრმა ჯამზე დამზადებული უნდა გქონდეთ ნახევარი გირვანქა ნიგოზი, ძალიან წმინდათ დანაყილი და ქინძი, ისიც დანაყილი. უნდა დაასხათ რამდენიმე კოვზი ცხელი ძმარი ამ მასალას და კარგად უნდა ამოჰყლიტოთ. როცა კარგად გალესავთ, მერე საცერში გაატარეთ, რომ ხიწლები არ გაჰყვეს; უყავით მიხაკი, ჩინინი, ცოტა პილპილი (მარილი, ჩაასხით დანარჩენ ძმართან და ისევ შესდგით ცეცხლზე. როცა ადუღდეს, გადმოსწურეთ ცალკე შენახული ლობიო ისე, რომ თავისი ნახარში აღარ შეჰყვეს და ჩაჰყარეთ ძმარიან ჭურჭელში. ამ დროს უყავით ძმარშივე გახსნილი ყვითელი კოჭი და ერთხელ წამოადუღეთ, შემდეგ გადმოსდგით, დაასხით ნახევარი ჩაის ჭიქა შინ გამოხდილი ნიგვზის ზეთი, გააცივეთ და მიირთვით. ასე მომზადებული ლობიო მით უფრო გემრიელია, რაც უფრო გვიან სჭამთ. გასძლებს ერთსა და ორს კვირას და სრულიად მაწყინარი არ არის.

წვრილი ამბავი

ქალი—ქალაქის თავად ამერიკაში. ამერიკის შეერთებულ შტატების ქალაქს კანზასში ქალაქის თავად ქალი ამოურჩევიათ. ქალი ქმარს გაჰყოლია, მალე ფეხ-მძიმედ შექმნილა და თავის ქმრისთვის მიუნდვია თავის თანამდებობის დროებით აღსრულება.

ახირებული ჯვარის წერა. ესპანეთის სამხრეთ-ადგილის ერთ ქალაქში მოხდა ახირებული ქორწინება. ცნობილი მწრთვნელი მხეცებისა, ფილისა ჯვარს იწერდა და პირობა ჩამოართვა თავის ახალგაზდა საცოლეს, რომ ქორწინება უთუოდ მოხდეს დიდს გალიაში, სადაც დამწყვდეული იყო ექვსი უშველებელი ლომი. პატარძალი, მორთულ-მოკაზმული თამამად შეჰყვა საქმროს გალიაში და ამოუდგა გვერდში. ლომები შესაზარის ხმით ღმუოდნენ. ასე ახირებულად დაიწერა ჯვარი ფილისმა მხეცთა გალიაში და აქვე მიულოცეს გაბედნიერება,

მეხსიერების დაკარგვა სახადით ავადმყოფობის შემდეგ. ვარშავის სამედიცინო საზოგადოებისათვის წარმოუდგენიათ ფრიად საინტერესო ადამიანი, ვიღაც დ—ნი, 32 წლის ახალგაზდა კაცი, რომელსაც სახადით მძიმე ავად-მყოფობის შემდეგ სრულებით დაუვიწყებია წერა-კითხვა. დ—ნს, თურმე გიმნაზიის ხუთი კლასი დაუმთავრებია და ავად-მყოფობამდე, რკინის გზაზედ მოხელედ ყოფილა.

* * *

სია ქართველ მამულის პატრონთა, რომელნიც ქალაქის გამგეობის მიერ შედგენილს ქალაქის ამომრჩეველთა ნუსხაში არიან მოქცეულნი.

(დასასრული *)

ქალაქის ამომრჩეველნი-მონაწილენი

ოდიშელიძენისა: სოფიო შვილებითურთ და ეკატერინე ზურაბის ასული.

ოქრუაშვილისა ეკატერინე, ბიბილაური ნატალია, მიხეილ, ივანე და ალექსანდრე.

ორბელიანები: თავ. ივანე დავითის ძე და კნ. მარიამ ალექსანდრეს ასული.

რუსიშვილები: გრიგოლი და თომა იოსების ძენი.

რჩეულიშვილები: დარია, თამარი და მარიამ და მზ[illegible]

---

*) იხ, „ცნობ. ფურ.“ № 131

სარაჯიშვილები: ალექსანდრა ქრისტეფორეს ასული, შვილნი მისნი ალექსანდრე ივანეს ძე და ვასილ გრიგოლის ძე.

ტაიძეები: გრიგოლი და მოსე ნიკოლოზის ძენი.

თარხან-მოურავისა ეფემია ალექსანდრეს ასული და მანსვეტოვი ალექსანდრე იაკობის ძე.

თოროშელიძენი: გიორგი და ეკატერინე.

თუმანიშვილები: კნ. ბარბარე ივანეს ასული და ძენი გიორგი, ნიკოლოზი და კონსტანტინე ალექსანდრეს ძენი და ასულნი ნინო, ელისაბედ სოფიო და ეკატერინე ალექსანდრეს ასულნი.

თუმანიშვილები: ალექსანდრე, ქრისტესიო და ნიკოლოოზ გიორგის ძენი.

ციციშვილისა კნ. ანნა და წინამძღვრიშვილისა მელანია და შვილები ელისაბედი, ლევანი, პეტრე და გიორგი.

ქაბაშვილები: დავითი და მიხეილ ივანეს ძენი.

ჩოლოყაშვილისა რუსუდან ზურაბის ასული და მდივანი ასლან გიორგის ძე.

შიდოგორიძენი: ქვრივი სოფიო და შვილი იაკობი.

შუაქრიშვილები: სიმონ და გიორგი.

ესებუა პეტრე საველის ძე და ნატალია გიორგის ასული.

ჯიმშეროვები: პავლე და ნიკოლოზ ივანეს ძენი.

ხიზანოვები: პეტრე და რომანოზი.

ლაზრიშვილები: დავით და იაგორ ანდრიას ძენი

და ეფემია და ეკატერინე პავლეს ასულნი.

ჯამბაკურ-ორბელიანები: კნ. ქეთევან გიორგის ასული

და ივანე და კონსტანტინე მაკარის ძენი.

სულთანოვები: გიორგი და კონსტანტინე.

ქალაქის ამომრჩეველნი ვაჭარნი და დაწესებულებანი.

აბულაძე გიორგი ქაიხოსროს ძე.

ბედინაძე ისანკ ზაალის ძე.

ბექანიშვილი ივანე რაჟდენის ძე.

ბერელაშვილი ვასილ გერასიმეს ძე.

გელანიძე ნიკოლოზ პეტრეს ძე.

გიორგობიანისა სოფიო სტეფანეს ასული.

გოკილოვი რაფიელ იოსების ძე.

გუდიაშვილი სიმონ გრიგოლის ძე.

დვარეცკი პავლე მაქსიმეს ძე.

ჯავახიშვილი იოსებ სტეფანეს ძე.

ჯავახიშვილი მიხეილ დიმიტრის ძე.

ჯუმუხაძე გიორგი დავითის ძე.

დავლაშერიძე იაგორ დავითის ძე.

ქავთარაძე იოსებ ანდრიას ძე.

კვაჭაძე სილიბისტრო ბასიას ძე.

კვეზერელი-კოპაძე გიორგი ნიკოლოზის ძე.

კურბლიშვილი იაგორ.

ლომინაძე გაბრიელ (იგივე ივლიანე) გიორგის ძე.

ნურალიშვილი შაქარა გურგენის ძე.

კახეთის ვენახის პატრონთა საზოგადოება „კახეთი“. ნახშირ-ტყიბულის საზოგადოება.

რატიანი გერასიმე (იგივე გარსევან) გიორგის ძე.

სულაძე დიმიტრი გრიგოლის ძე.

[illegible] ნიკოლოზის ძე

პილაძე ალექსი სერგის ძე.

ჩხარტიშვილი ესტატე ნიკოლოზის ძე.

შუაქრიშვილი ნიკოლოზ ილარიონის ძე.

ბაჯიაშვილი ივანე იაგორის ძე.

ბარამიძე სამსონ მათეს ძე.

ელისოვი ილარიონ იოსების ძე.

ივანოვი გიორგი სიმონის ძე.

კაჯარდუზოვი გიორგი ქაიხოსროს ძე.

მაისურაძე იაგორ იოსების ძე.

რომანოვი სიმონ ზაქარიას ძე.

სესიაშვილი დიმიტრი გრიგოლის ძე.

სესიაშვილი ნიკოლოზი.

ხარაიშვილი ილია მიხეილის ძე.

ჩახიროვი იაკობ სტეფანეს ძე.

საქმის ვადები სასამართლოში.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია გასარჩევად:

4 მარტს.

ალექსანდრე დანელიას საქმე, ქუთაის ოლქის სასამართლოს განჩინებაზედ, დანაშაულობისა გამო მისა 115 და 2 მ. 1455 მ. სას. დად. (მკვლელობა.).

ნიკოლოზ ქადაგიშვილის საქმე, ტფილისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზედ, რომელსაც ბრალდება თავის ცოლის მოკვლა.

11 მარტს.

ილარიონ ხელაიას საქმე, რომელსაც ბრალდება სიყალბის ჩადენა.

* * *

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზედ

სამგზავრო—პასაჟირო გემები

ბათომიდან 1) გემი სწრაფის რეისით გადის შაბათობით, შუადღის 12 საათზედ, შეივლის ნოვოროსიისკში, იალტაში და სევასტოპოლში.

ბათომიდან 2) პირველი ირგვლივის გზის გემი გადის შაბათობით, ღამის 2 საათ, შეივლის ყველა ნავთსადგურებში.

ბათომიდან 3) მეორე ირგვლივის გზის გემი გადის სამშაბათობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან 4) მესამე ირგვლივის გზის გემი—პარასკეობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთსადგურებში.

ბათომიდან პირდაპირი გემი ხუთშაბათობით, შუადღის 12 საათზედ; შეივლის ნოვოროსიისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში და სევასტოპოლში.

საბარგო-სამგზავრო გემები.

ბათომიდან გადიან პარასკეობით, 8 ს. საღამოზე. შეივლიან ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან გადიან ოთხშაბათობით, ღამის 2 საათზედ, შეივლიან ფოთში, ნოვოროსიისკში და სევასტოპოლში.

ბათომში მოდიან გემები

ირგვლივი გზის გემები მოდიან ბათომში ორშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით, საღამოთი.

პირდაპირი გზის გემები მოდიან ბათომში ოთხშაბათობით, დილით.

სწრაფი რეისის გემები მოდიან ბათომში პარასკეობით, ნაშუადღევს.

საბარგო-სამგზავრო გემები, პირდაპირი, სამშაბათობით, ნაშუაღამევს. ჩვეულებრივი—პარასკეობით, შუად-

განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება
ქართველთა ამხანაგობის და ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიებში ახალი წიგნი

ცეცხლით და მახვილით

ისტორიული რომანი გენრიხ სენკევიჩისა
980 გვ. ფასი 1 მან. 60 კაპ.

დასტურ-ლამა

თ. დადიანისა
ფასი 25 კაპ.

ვინც ქართველთა ამხანაგობისაგან გაიწერს ფას-დადებით არა ნაკლებ ხუთის წიგნისა ერთად, ასეთ 30%-ის დაკლებით გაეგზავნება.

(3—2)

განსაკუთრებული
საათების
სახელოსნო
ზეგლიარ
ავაკიანცისა

სასთვად აზნაურთა ქარვასლა.

ვღებულობ ყოველგვარ საათებს შესაკეთებლად. ფასი ყველაფერზე ზომიერია. ყოველ შეკვეთას ვასრულებ წმინდად და სინიდისიერად.

ზეგლარ ავაკიანცი.

იქვე გამართულია
საოქრომჭედლო სახელოსნო
ნიკოლოზ იმედოვისა

სახელოსნო ასრულებს ყოველ გვარ საქმეს ოქრო-მჭედლურ ხელობისას სუფთად, მკვიდრად, შნოიანად, სწრაფად და იაფად!

(30—6)

საყოველთაო ნომრები

ტფილისში, რიყის ქუჩაზე, თავ. ბეგთაბეგოვის სახ. № 89.

ყოველთვის იშოვება იაფი, სუფთა ოთახები ყველასათვის, მეტადრე ყარსის რკინის გზის მოგზაურთათვის.

იქვე დუქანია „სამტრედი“ თადეოზ კალაძისა, გემრიელ და ნოყიერ საჭმელ-სასმელით.

Въ Тифлисѣ, на Песковской улицѣ, въ домѣ кн. Бегтабегова, № 89, имѣются на постояломъ дворѣ
дешевые номера
духанъ „САМТРЕДИ“.
Содержатель Т. Каладзе.

(5—5)

ახლად გამოვიდა და ისყიდება

ფაბიოლა

ანუ წინანდელი ქრისტიანები
გამოცემა უდაბურ წმიდის მმობისა,
თარგმანი ა. ნიკიტინისა.

წიგნი 68 გვერდია და ღირს ერთი შაური.

ისყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ტფილისს გარეთ: ოზურგეთში თავართქილაძესთან, მაჩხაანში დ. ნადირაძესთან, ბორჯომში მ. სალარიძესთან, თელავში ილ. იმერლიშვილთან და სურამში არშაკ შუღაროვთან.

IV-й г. изд. **Открыта подписка на 1897 г.** IV-й г. изд.

на еженедѣльный иллюстрированный
безъ предварительной цензуры
экономическій и сельско-хозяйственный журналъ

ХОЗЯИНЪ

Кромѣ обычныхъ въ сельскохоз. журналахъ статей по всѣмъ отраслямъ сельскаго хоз. и сел.-хоз. техники, въ журналѣ помѣщаются передовыя статьи, статьи по экономіи, финансовъ и статистикѣ, обзоры сельско-хоз. дѣятельности земствъ, научные обзоры, обзоры сельско-хоз. литературы, рынки. Отвѣты на вопросы Въ каждомъ номерѣ 2500—2800 строкъ одного только текста.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

на годъ съ дост. 6 р., на полгода 3 р. Разсрочка по одному рублю въ мѣсяцъ. Годовые подписчики получатъ въ теченіе года безплатно слѣдующія:

КНИЖКИ ХОЗЯИНА:

1) руководство по огородничеству. П. М. В. Рытова. 2) справочная книжка по сельскохозяйственной архитектурѣ. 3) Архитектурный альбомъ важнѣйшихъ сельскохоз. построекъ. въ журналѣ принимаютъ участіе своимъ сотрудничествомъ почти всѣ сельско-хозяйственные писатели (журналъ насчитываетъ свыше 300 сотрудниковъ); въ томъ числѣ помѣщали свои статьи: И. И. Абозинъ, А. П. Адріановскій, В. А. Агзиміровъ, А. А. Арфмельдъ, графъ Ѳ. Г. Бергъ, В. А. Бертенсонъ, проф. С. М. Богдановъ, проф. А. И. Воейковъ, князь В. Д. Друцкой-Соколинскій, проф. В. В. Докучаевъ, И. М. Кабештовъ, АВ. А. Калантаръ, князь В. А. Кудашевъ, проф. К. Н. Кулешовъ, Пав. Ив. Левицкій, проф. К. Э. Линдеманъ, А. Я. Масленниковъ (съ Сѣверной фермы), А. П. Мещерскій, (авторъ „Писемъ деревенскаго хозяина“), А. П. Мертваго, М. В. Неручевъ, князь Д. М. Оболенскій, инж. Г. Перримондъ, проф. М. А. Придорогинъ, Л. А. Потѣхинъ, проф. Д. Прянишниковъ, И. М. Рева, А. А. Радцигъ, М. В. Рытовъ, П. Р. Слезкинъ, А. П. Субботинъ, проф. А. В. Совѣтовъ, проф. И. А. Стебутъ, инж. П. В. Степановъ, проф. К. А. Тимирязевъ, Г. И. Танфильевъ, проф. А. Ѳ. Фортунатовъ, А. Р. Ферхминъ, проф. Н. П. Чирвинскій, И. І. Шатиловъ, Г. И. Шредеръ, В. С. Щербачевъ, М. А. Энгельгардгъ и многіе др.

Контора и редакція: Спб. Невскій пр., № 92.

Ред. А. П. Мертваго. Изд. И. А. Машковцевъ.

(6—1).

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1897 ГОДЪ
(XVI годъ изданія)
на ежемѣсячный иллюстрированный журналъ для дѣтей школьнаго возраста

„РОДНИКЪ“

и педагогическій листокъ

„ВОСПИТАНІЕ И ОБУЧЕНІЕ“.

„Родникъ“ вь 1897 году будетъ издаваться подъ тою же редакціею, вх томъ же духѣ и направленіи, что и въ минувшія 15 лѣтъ.

„Родникъ“ выходитъ перваго числа каждаго мѣсяца книжками большаго формата, со многими рисунками въ текстѣ, портретами и отдѣльными картинками.

Вмѣстѣ съ **„Родникомъ“** можно получать ежемѣсячный педагогическій листокъ **„Воспитаніе и Обученіе“**, посвященный вопросамъ **семейнаго воспитанія, домашняго обученія и дѣтскаго чтенія,**

„РОДНИКЪ“ рекомендованъ, одобренъ и допущенъ учеными и учебными Комитетами.—*Признанъ необходимымъ* для выписки въ ученическія библіотеки городскихъ училищъ и учительскія библіотеки народныхъ школъ за всѣ годы его существованія, т. е. съ 1882 г. (См. „Журналъ Мин. Нар. Просв.“, августъ 1895 г.)

Условія подписки на 897 годъ прежнія:

Съ доставкой и пересылкой.	На годъ.	На 6 мѣс.	На 3 мѣс.
На одинъ „Родникъ“.	5 руб.	2 р. 50 к.	1 р. 25 к.
На „Родникъ“ и педагогическій листокъ „Воспитаніе и Обученіе“. . . .	6 ,,	3 ,, — ,,	1 ,, 50 ,,
За границу	8 ,,	4 ,, — ,,	2 ,, — ,,
Отдѣльно на педагогическій листокъ „Воспитаніе и Обученіе“. . . .	2 ,,	1 ,, — ,,	— ,, 50 ,,

Адресъ конторы: С.-Петербургъ, Невскій пр., 106, при **„Книжномъ магазинѣ“** *Н. Н. Морева.*

За издателя *Н. Моревъ.* Редакторъ *Алексѣй Альмедингенъ.*

Отрыта подписка на ежемѣсячный журналъ съ картинками „ЧИТАЛЬНЯ НАРОДНОЙ ШКОЛЫ“ (10-й годъ изданія). Цѣна съ доставкой и пересылкой **3** рубля въ годъ.

(4—4)